**საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი**

**ბრძანება** N 2-485

05/06/2019 **ქ. თბილისი**

**ხარაგაულის და ზესტაფონის მუნიციპალიტეტებში სს „საქართველოს რკინიგზას“ მთავარი სარკინიგზო მაგისტრალის მოდერნიზაციის („ხაშური-ხარაგაული-ზესტაფონი“) პროექტში, ხარაგაული-ზესტაფონის მონაკვეთის ცვლილებაზე (მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე) სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის I დანართის მე-9 პუნქტის და მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე

**ვბრძანებ:**

1. გაიცეს ხარაგაულის და ზესტაფონის მუნიციპალიტეტებში სს „საქართველოს რკინიგზას“ მთავარი სარკინიგზო მაგისტრალის მოდერნიზაციის („ხაშური-ხარაგაული-ზესტაფონი“) პროექტში, ხარაგაული-ზესტაფონის მონაკვეთის ცვლილებაზე (მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე) სკოპინგის დასკვნა N52 14.05.2019წ;

2. სს „საქართველოს რკინიგზა“ ვალდებულია გზშ-ს ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს სკოპინგის დასკვნის N52 14.05.2019წ. შესაბამისად;

3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „საქართველოს რკინიგზას“;

4. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „საქართველოს რკინიგზას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, ხარაგაულის და ზესტაფონის მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში;

ლევან დავითაშვილი

მინისტრი